


№ 2  
1939 წლის მარტი  
ფაცი 60 კპ.

# ბიუნგა

საქ სახელმწიფო  
გამომცემის  
„კულტურული მუსიკა“



ს წ რ ი ლ ი კ ნ ი ზ ი

ნახ. გიხ. ლებე შევისა.

- იშვიათი აფადმყოფი გვეწვია, ექიმი: სმენა არ უგარება, ძლიერ ლულლუღებს, საჭმლის მისაღები რჩანო მოშლილი აქვს, არც გადამცირი უგარება, ისე „სწრაფად“ დადის—სახლიდან აქ მოხვდას ერთი კვირა მოსდომნია!..
- გა, ეგ ჩაკავშირგაბმულობა დამართონია, მაგ საწყალს.

# ქართველი და მცხოვრის



გ ულორობი სუფევდა ნიკანდრო კრიპტის ოჯახში. აგრე, ჟევე შეახან მიატანა ნიკანდროს და მისი მეულლის ნიფანდროს სიმტკბილობით გატარებულმა წლოვანებამ, საცაა ეგრედწოდებულ „ოქროს ჭროწინების“ გადახდისაც აპირებდნენ, რომ თავისი ცხოვრების შეაგზაზე ერთხელ კიდევ დანაშვებინათ ქვეყნისთვის თუ რა ნიშნავს ცოლებრის უნგარო სუყვარული და პატივისცემა. უნდა გეხახათ რა აღერისით, რა მოკრძალებით, რა პატივისცემით შიმართავდნენ ერთმანეთს.

— როგორ გუნებაზე ადექი სულო? — ეუბნებოდა ნიკანდრო ყოვლ დილით.

— მწევიერ გუნებაზე გულო, — მიუგებდა ნიფანდრო, — როთ შეკითხები.

— ისე, ფერმერთალი მეჩევენე სასურველო!

— არაფერი მიკირს, შენ როგორ ხარ სანატრელო?

— საუცხოვოდ, სათავისებელო.

— იჩქარე, სამსახურში არ დაგაგვიანდეს ძვირფასო!

— არა, ჯერ კიდევ აღრეა უძვირფასესო!

ასეთი იყო მათი საუბრის კილო ყოველ დილით. რომ კიდევ უფრო გაემდიდრებინათ ურთერთისადმი მისამართით თავაზიან ეპიტეტების ლექსიკონი, კითხულობდნენ სასიყვარულო თემაზე დაწერილ წიგნებს, თვით „ვისრამიანამდე“.

— სულთაუკურებესო, — ერყოდა ნიკანდრო.

— ფიქრთა ჩემთა საენეგა, — მიუგებდა ნიფანდრო.

— ჩერი გულის შაქარყანდო, — შეაგებდა ნიკანდრო. და ასე დაუსრულებლივ, სანამ ტკბილი სიტყვების მარაგი თვით ქიშიშიშამდე და ლელეხსრიამდე არ ჩაშევიდოდა.

იგულისხმება, რომ არა გარეტო მათი ორი გოგონა იზრდებოდა ასეთი ოჯახური სიამტკბილობისა და სიხარულის ატმოსფეროში, არამედ თავსში ჩამოკიდებულ გალიაში მოთავსებული ორი იადონიც კი განუწყვეტილ ალერსისა და თავაზიანი მოპყრობის გარემოცვაში ატარებდა სხვა ჩიტებისათვის სახარბიელო ტყველბას. თვით ქატაც კი, კუთხეში მთვლემარე კატაც კი ისე ალერსიანაც კრუტუნებდა, რომ მისი „პიჩიჩატოს“ მოსმენც უცბად შთავინერგვადათ შთაბეჭდილებას ნიკანდროს ოჯახის უაღრესი მყუდროების შესახებ.

და აი ეს მყუდროება ერთ დღეს, მოულოდნელად დაირღვა, ჩაიიფუშა, გადასხვავერდა და ფორიაქმა მოიცვა. იე გამეფებული ალერსი ტირილ-ზლუქუნად იქცა, სიცილი-ცრუმლებად, იადონების ღრუტული-წრიპიხად, ხოლო კატის იდლილური კრუტუნა-თავმომატებელ კნავილად.

რამ გამოიწვია ასეთი უცნაური ფერისცვალება?

ჯერ ამ დიდი მიზეზის პატარა მიზეზზე:

ნიკანდრო მოსკოვს მიავლინეს. ეს პრაქტიკული საუწყებო გარემოება ნიკანდროს ოჯახში დამატებითი სხარულის წყაროდ გადაიტა: ნიფანდროც და მისი გოგონებიც ალფრიოვანებით ადგინენ მოსკოვის „გურში“ (მთავარუნივერმალი) საყიდლების სის. ნიკანდრო დანაბარების გარდა, თავის მხრივაც პირიდებოდა მათ საჩუქრებს. წასკლის დღეს გასაცილებელი საღილი გამართა. ნიკანდრო ყველა ალერსითა და ცხვირსაბოცის ქვეით გაისტუმრა. როცა ის ვაგონში შედიოდა, ნიფანდრომ ერთხელ კიდევ გაასხნა:

— წერილები ხშირად გზავნე გულო!

— ყოველდღე მოგწერ სულო! — გადმოსახა მიმავალმა ნიკანდრომ და თან ალერსიანად გაათავსში ფანჯრით ცხვირსახოცა.

გასაგებია, რომ ასეთი ტანილი ოჯახის ბურჯისაგან წერილის მიუღებლობა სერიოზულ შემთხვებას გამოიწვევდა ისეთში. ასეც მოხდა: გამოთვლილ დღეები გავიდა, წერილი კი არსად ჩანდა. ნიფანდრო ლელავდა, ბავშვები დალანებული იყვნენ, იადონებიც კი, ჩამოკიდებულ გალიაში გამომწყველეული იადონებიც მოლუშული გამოიყრებოდნენ. წერილები კი არ სხანდა.

ეს, ნიკანდრომ არ იცოდა, არც შეეძლო სცოდნოდა, რადგან პირობისამებრ მართლაც ყოველდღე გზავნიდა სასწრაფო წერილებს. მოსკოვს პირველად ჩასული — უზიარებდა ოჯახს თავის შთაბეჭდილებებს, ნანობდა, რომ ნიფანდრო გვერდით არ ჰყავდა, როთ ისიც დამტკბილი დიდი დღედაქალების შევენიერებით. მიასხაში ნიფანდროს სახელწოდების დღემ მოაწია. ნიკანდრომ ნაყიდი საჩუქრები ჩემოდანში ჩაბალავა და როგორც ძველმა მოხალისე პოეტმა, შეულეულ ლექსად შედგენილი გრძნობირო დევეზი გამოუგზავნა:

„გილოცავ სახელწოდების დღეს  
და მასთან გრძნობით გართმევ ხელს.  
მოვდივარ, გაცნობო-ეჩქარობ;  
ცხრას დამხედი, სანუკვარო!

ამ გრძნობებით აღსაცე პროდუქტმა, ერთერთი მოხელის მეცა-დინე ხელით ტელეგრაფის ფილტრში გაიარა, იქ აბირებული ფერის-ცვალება განიცადა და თავზარდამცემ მუქარად გადაიქცა ისე, რომ ნიფანდრომ ნიკანდროს დეპეშა მიიღო შემდეგი რედაქციით:

გაგიცან, ნუ მელოდები მეტს,  
დამაცა, ჯოხით მოვწყვერ წელს,  
მოვდივარ, თან მომვავს მარო,  
შინ არ დამიხედე — საზიზლარო...

ჩვენ გრძნობიერი მჭითხველის ამბავი რომ ვიცით, მან უკვე წარმოიდგინა ის ტრალეცია, რაც ამ მოულოდნელმა მრისხანე დეპეშამ შეიტანა ნიკანდრო კრიუპუს. აიტომ ჩვენ აღარ შევაწუხება მისი აღწერილობით. აღნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ დამატებითი დეტალს, რაც შემავალ ამბავად გადაეხლართა ამ ტრალე უიას: ნიკანდროს საქციელი მაღლ მოედნ ნაცნობ-ნაოხესვებს, გაიგეს მის დაწესებულებაშიც, ყველგან პეტრებულნენ, ამტყუნებდნენ, მატყუარასა და გაიძვერას უწოდებლნენ.

— ყმაშვილო, რაღა დროის მისგან იჯახის დატოვება იყო? — ჩურჩულობრინენ ისინი, — რა საკადრისია, ვინცხას რომ გადაძიდებია? სახლში ხომ ნიფანდროდან დაწყებული-იალენებამდე ყველა მის წინააღმდეგ ამხედრდა და მუქარით მოელოდნენ ნიკანდროს დაბრუნებას.

— ჩამოშავდეს ის წელმოთრეული, — იმუქრებოდა ნიფანდრო, — ჩამოშავდეს ის მამახი, ქაჩალი, წელეავინი, ის ბრუტიანი ისა, ვაჩვენებ სეირს...

— დედა, მე რომ დიდი თოჯინი მაქვს, იმას დავარტყამ მამიკოს, — ეუბნებოდა დედას თხზი წლის გოგონა — ბაბრია, რომელიც ნიკანდროს განსაკუთრებული უყვარდა.

— მე კი, აგრე რომ პატეფონის ფირფიტებია, სულ ზედ დავამტკრევ, — დასძნდა უფროსი ქალიშვილი. ეს განწყობილება მოელობაში მას შემდეგ ზექმნა, როცა ნიფანდრომ იატავის საქმენდი ჩოთქის ტარი კარებს უკამ მიაყუდა და განცხადა, რომ ამ იარაღით შუბლს გაუუპობო.

ასე დარამშული დახვდა დაბრუნებულ ნიკანდროს მთელი ოჯახი. კარების შელებისთანავე მასზე მრისხანე იერიში მიიტანეს: ამუშავდა ჩოთქის ტარი, ფირფიტები. თოჯინი, ჭურჭელი. ოთხი და დერეფანი მოიფინა ჭურჭლის ნამტკრევებით, ნიკანდროს მიერ სათუთად ჩამოტანილი საჩუქრებით, მისი ქუდით, პალტოს ნახევებით, ნასროლი მუთაქებით.

— კიდევ ბედივ მოსკლას შე უტიფარო? — ეუბნებოდა ნიფანდრო. — არ შემოგაცანიერ ის ვინცხა მარო რომ მოვიყვანია, ჩვენ გვინდა საკუთარი დედა, — ეჩურებოდა უფროსი ქალიშვილი.

— მე ისეთი მამა არ მინდა, გინც დედას აზყუბს. წაღი, წაღი ვინცხასთან. — დასძნდა პატარა გოგონა. — კატაც კი ჩხაოდა, იალი მისებიც ბრინჯებულნენ, ერთის სიტყვით, მოელი იალი იყ ჩაბმული, თავზერდაც ცემულმა ნიკანდრომ ვერას. წესდლო მიზეზის გამომდებარების შესძლობით, პანაშ საქმეში მეტობლები არ ჩაერიცნენ და არ გაეცნენ ნიკანდროს მიერ გამოცხავლის ტექსტს.

— თქვენს თავს ეფუცავ, გაუგებრობაა ძვირფასნო, — თქვენი სიყვარული არ მაჩერებდა, შაგას რაგი ვიზამდი? — მიუხმატებილა ბოლოს ნიკანდრომ, როცა „ნისლი გაიფანტა“ და ბრძოლის ქარცეცხლი მინელდა: ბოლოს საქმე გათავდა საოჯახო კომისიის გამოყოფილობა, რომელსაც დაევალობა შემთხვევში მიკლიმეტრის გადატენებული ტელეგრაფის დედნის შემოწმება. ამ კომისიის ვამოკვლეულების შედეგი უნდა დაედოს საფუძვლად ნიკანდროს შემდგომ უზრიერთობას.

კომისიის ჯერ არ დაუმთავრებია მუშაობა.

დაცვლითი მიმართული, საფილული დიზაინი  
ზამინის გადასაცემა




## სერიუმის საჩივარი

სელიფანე ხანდამიძემ  
დილით თვალი გაახილა.  
გაიხედა მზეს შეხედა  
მთის ქალთაზე რომ დახრილა.—  
იდიქრა: თუ საქმე ესე  
როგორ მოხდა, როგორ იყო,  
(ისიც ვეღარ მოისაზრა  
ახლა მაინც ამდგარიყო).  
მოაგონდა: გვიან ჩაწეა  
ღმით ბევრი ხუხა ლეინო,  
იძახოდა: „ვაჟუცი ვარ,  
უნდა წვენი გაგადინოთ“.  
— სელიფანე ადე დროა,—  
ევერება ცოლი, მარა  
სელიფანემ საპასუხოთ  
მხოლოდ ერთხელ დამთქნარო.  
ბოლოს წყალი გადაასხეს  
დაუშალეს სასოფთალი—  
სელიფანეც წამოვარდა,  
დააჭურა უცბათ თვალი.  
ეს რა მოხდა, როგორ ბედავთ,  
ჩემთან თქვენ ვინ მოვიყვანათ?—  
დაიძახა სელიფანემ  
და საშინლად დაიჭურა.  
როგორც იყო სელიფანე  
გამგზავრა სამსახურში,

რომ მივიღა დაამთქნარა  
და ჩასძახეს მაშინ ყურში:  
„სელიფანე მოგვითმინე,  
მოაწერე დავთარს ხელი,  
განა ვეღიარ დაგინახე  
ათ საათზე რომ მოხველი?“  
სელიფანემ მოუხედა,  
მიანათა ბრაზით თვალი  
და სთქვა: „ძილი მომივიღა  
ეს არ არის ჩემი ბრალი“.  
დაითხოვეს სელიფანე,  
სამსახურზე უთხრეს ვარი.  
ადგა, დაჯდა სელიფანე  
და დასწერა საჩივარი:  
„წუხელ ღამე ვიქეიფე.  
ლვინო მენდა მეტად ნაზი,  
თუ არ დავლევთ რაღათ გვინდა  
ვენაზი და მისი ვაზი?“  
თუ დავლევთ და მაშინ კაცა  
გაეშლება ხასიათი,  
ერთის ნაცვლად მოუნდება  
გადახუხოს ბოთლი ათი.  
მეც ასე ვქენ, დავლიე და  
თავი ვიგრძენ ისე ტკბილად,  
ჩავწევი და რა დავწევი  
გადვიქცი სულ მთლად ძილად.

გვიან ივლექ, გვიან მოველ,  
ეს არ არის ჩემი ბრალი,  
კაცმა რომ სთქვას მოვიხადე  
ლვინოსთანაც ჩემი ვალი.  
თქვენც განსაჯეთ ამის შემდგვე  
და მითხარით: „შენ ხარ სწორი!“.  
მე ვამტკიცებ დალევაში  
არავინ არის ჩემი სწორი“.  
დაასრულო სელიფანემ  
საჩივარი მეტად რთული,  
მძღოლ რადგან უარი უთხრეს  
მოუყიდა უცბათ გული:  
„ჩემისთანა ვაუკაცები  
სულ არ ღადის ქვეყანაზე,  
ალირ გნებავთ?— ქე წაველ და  
დაიგიძინებ ჩემს ბინაზე.  
მაშინ ნახავთ უჩემობა  
რა ძნელია, როგორ მძიმე,  
მოხვალთ ჩემთან მუდარით და  
ლოგინში არ დამაძინებთ..  
და წიგიდა სელიფანე  
ბრძანება რომ წაიქითხა,  
მაგრამ სახლში ამის შემდგვე  
ალარავინ მიაკითხა.



### „ს ა კ ა ზ ი მ მ ი ზ ი ზ ი“

- ოქენ 25 წუთი დაიგვიანეთ და მოხსნილი ხართ სამუშაოდან,
- გა, რატომ ამხანაგო დირექტორი! ათი წუთი ცოლს გეჩეუბებოდი ამ დილით, ათი წუთიც შეყვარებულმა გამაჩერა ქუჩაში, ხოლო

# ჭარბი



— რა ქნა კაცო, ჰა!  
— აბა, აბა!  
— ოჰო, ჰო, ჰო! არ ეკადრებოდა, გეფიცე-  
ბი...  
— აბა, აბა!  
— ჰაი, ჰაი, უსინდისო!

— აბა, აბა!  
— ხელი მაინც არ აუკანკალდა?!

— აბა, აბა!  
— ორიათას კაცში რომ გაუგებარი არ და-  
რჩებოდა, ვერ იაზრა?!

— აბა, აბა!  
— ამდენანს პატიოსანი შრომით ნაშოვნი  
სახელი ასე როგორ დაქარგა.

— აბა, აბა!  
ასე მისაუბრობდნენ დილას ჩემი შეზობ-  
ლები და დინჯად, ტრამვაის ტემპით მისეირ-  
ნობდნენ საწარმოსაკენ.

იმათ საუბრის შინაარსმა დამაინტერე-  
სა და ერთ მათგანს ვყითხე:

— რა ქნა კაცო, ჰა?  
— აბა, აბა! — მომიგო მან.

— აბა კი არა, რა ქნა მეტე, გეყითხე-  
ბით, ვიღაცაზე ლაპარაკობდით, მოჰკლა ვი-  
ნჩე?

— მოჰკლით არა, მაგრამ...  
— მაინც? იქნებ დაახრჩო; წყალში, თუ  
ისე — ხმელად?

— ხმელად არა, შშრალად, — მომიგო სამ-  
კერალო ფაბრიკის საამქროს უფროსმა, ჩემ-  
მა მეზობელმა — სიკომ — კი არ დაუხრჩია გა-  
აძრინა.

— აბა, აბა, გააძრინა! — დაუდასტურა  
იმავე ფაბრიკის მეორე საამქროს უფროსმა, იგივე ჩემმა მეზობელმა — ივანე.

— სად გიჭო, ვინ გააძრინა, რა გააძ-  
რინა? პირდაპირ მითხარით, რებუსების გამო-  
ყვანის ნიჭი გაზეთებული არა მაქს.

— გეტყოდით, მაგრამ შენს ყბაში ეშმაკი  
ჩიგარდა...

— რადა, კაცო, ყბა რა შუაშია, ვიღაცას  
სადღაც რალაც გაუძვრენა, იმის ჭამის მეტი  
საქმე არა მაქსე?!

— ხუმრობთ თქვე რჯულდალებო, სათევზაოდ  
იქნებოდით და... ცოცხალი ჩამოიტანეთ?

— ცოცხალზე არც ჩენ ვიტყვით უარს,

მაგრამ იმ საქმეს კი შენს ყბაში ვერ ჩიგაგ-  
დებთ.

— ყბა რა შუაშია, კაცო?

— გაჭორავ, მოთხოვობას დაწერ, მთელ  
ქვეყანას მოსდებ...

— გაძვრენაზე, კაცო? რა მოთხოვობა უნ-  
და დავწერო?

— მერე რა გაძვრენა, რომ იცოდე!

— მაინც?

— ერთ კარგზე გააძრინა, მაგრამ მეო-  
რში დაჭვირეს...

— რა?  
— კოჭისძაფი...  
— ვინ?  
— ჩემმა მომუშავემ. შენცემიცნობ მგო-  
ნი, გიგო თურმანიძემ.  
— მოიპარა?  
— რასაკვირველია.  
— მეტე? მე ხომ მილიცია არ ვარ, მე ეგ  
რომ არ შემტება?

— მილიცია რომ არა ხარ, სწორედ იმი-  
ტომ შეგხება. მილიცია დაიჭერს — გაუშვებს,  
შენ კი ამ ამბავზე რომ მოთხოვობა დაწერო,  
ნამდვილი სასჯელი იქნება გიგოსთვის. ქვი-  
უანა შეიტყობს და...

— აბა, აბა! — კელავ დაადასტურა ივანე  
და განაგრძო — ეს მართლა კარგი აზრია, ვუ-  
ამბოთ, მოთხოვობა დავაწერინოთ და ამაზე  
მეტი სასჯელი არ იქნება.

იმ მიზნით, რომ კოჭისძაფის გამძერენ გი-  
გოს არასაიმოვნო მოქმედების შესახებ ეამ-  
ბნათ, მეზობლებმა კაფეში შემიპატიუეს, თი-  
თოეულ ჩემნოთაგანისათვის სამ-სამი ჭიქა ცხე-  
ლი რე შეიძინეს და ამბავს თავიდან შეუდ-  
გნენ.

— ოჰო — ჰო — ჰო, არ ეკადრებოდა, გე-  
ფიცები!...

— აბა, აბა!..  
— ჰაი, ჰაი, უსინდისო!

იმათმა ერთნაირმა დიალოგშა და რძის გე-  
მომ ცოტა არ იყოს განწყობილება გამიფუჭა  
და იქრიში მივიტანე.

— აბა, ერთერთმა დაიწყეთ რა მოხდა,  
როგორ იყო, მოპარა თუ? იქნებ გაყვა?

სიკომ თქვა:

— გაყოლა რა საკადრისია: გასასვლელში  
ჯიბეები გაუსინჯეს. კოჭისძაფი აღმოაჩნდა,  
შერცება, გაწითლდა. არ ვიცოდიო, თქვა. დევრი  
ეჩიჩინეს, მეორე დღეს თქვა, იქნებ  
თავისით ჩამივარდა ჯიბეშიო; მერმე ფირფი-  
ტა გამოცვალა: ამხანაგები მყენან გადაკი-  
დებული და იქნებ იმათ ჩამიდეს ჯიბეშიო.  
ბოლოს ფული შეიტანა ბუღალტერიაში, კო-  
ჭისძაფის ღირებულება, 14 კაპეიკი. ბუღალ-  
ტერიამ არ მიიღო; მერე, არც კი შერცება,  
ისე თქვა: თოთხმეტი კაპეიკის გულისათვის

კაცი უნდა დამღუბოთ. ანდაზა უთხრეს: აქ-

ლემის ჭურდი და კოჭისძაფის ჭურდი ორივე  
ერთიაო. ბოლოს გამოტყდა, ასე თქვა: ამ  
ფურის ძაფი ვერსად ვიშოვნე, სახლში მჭირ-  
დებოდა და წავილე, ფულს გადავიხდი, რა  
მოხდა მერეო. ასე უშნოდ გაიფუჭა თავი, უსი-  
ნდისომ.

— აბა, აბა! — კელავ დაუდასტურა ივანე  
და უკანასკნელ ჭიქა რძის ჭუანასკნელი ყლუ-  
პი ხახაში გადაჭვედა:

იმ დღეს ბევრი ვიფიქრებ კოჭისძაფის ქეუ-  
რდის შესახებ. მინდოდა იუმორისტული მოთ-  
ხობა დამწერება. წავედი მილიციაში. ვი-  
ფიქრებ: გიგოს ტაბა განყენებულად მივცემ,  
მილიციის ოქმებიდან აღგილებს ამოეჭერ, პა-  
ტარა სიუჟეტი და იუმორისტული მოთხოვობაც  
მზად არის მეთქი, მაგრამ არაფერი გამო-  
გიდა.

თავში ბევრი ცემის შემდეგ გადავჭუპიტ  
ამ შემთხვევისათვის იუმორისტულისთვის თა-  
ვი დამენებებინა და ყოველგვარი ხუმრობის  
გარეშე დამწერება ის ამბავი, რაც ამ დღეს  
ჩემმა მეზობელმა სიკომ და განომ მიამდეს.

და სინამდვილის შესამოწმებლად, სალა-  
მოს, ქურდობის შემთხვევის აღგილს, სამკერ-  
ვალო წარმოებას მივადექი.

დირექტორმა თქვა:

— მოიპარა, რაც მართალია, მართალია.  
სირცეხილია, მაგრამ ფატრია. ამ სალამოს ამ-  
ხანაგური სასამართლო გვერდა. პირობა მო-  
გვერდა, რომ შეტა აღარ იზამს. მე შემეცოდა  
კიდეც, მაგრამ მეზებმა არ იპატიეს. მოგხე-  
ნით, მეტი გზა არ იყო.

წასელის წინ დირექტორს შევეექითხე, თუ  
სად ვნახავდი ჩემს მეზობლებს — სიკომ და  
ვანოს.

დირექტორმა თქვა:

— ისინიც მოგხენით...  
— რატომ? ქურდობისათვის?  
ცივად მიპასუხა:  
— დიაბ...  
— იმათაც თითო კოჭისძაფი მოიძარეს?  
— არა, თითომ ოცდათევესმეტი ცალი!  
გაკვირვებით შევეკითხე  
— როგორ გაიტანეს, სად ჩესტიეს იძღვი  
ძაფები?

— სად და საითში.  
— საითში? როგორ?

— როგორ და უბრალოდ. — მოზიგო დი-  
რექტორმა, — თოთხმეტი მათგანი ჩემნგან  
თვეში ხუთას ლებულობდა, ესე იგი  
დღიურიად ოც მანების. გუშინ თრ-ორ საათს  
დაიგვიანეს. წარმოებას ორ-ორ საათი მო-  
ვარეს და თუ ამ დროს კოჭისძაფზე გადაგამ-  
რავლებოთ ეგეც შენი თოთხმოცამდე კოჭისძაფი.  
კოჭისძაფისა და დროს ჭურდი მივისათვისა  
და ამ დროს კოჭისძაფის ჭურდი მოიცავდა  
კოჭისძაფისა და დროს ჭურდი მივისათვისა.

წამოვედი და ამ ჩემს მოთხოვობას სამკე-  
რვალო წარმოების დირექტორის კარნაბით  
“ქურდის” მაგიერ “ქურდები” დავარკევი. ხო-  
ლო რამდენად მართალია ამ მოთხოვობის უკა-  
ნასკნელი სახელწოდების ავტორი, ეს თვით-  
ონ მკითხველებმა განსაზღვრობოდა გამნავონ.

გ. ივანიშვილი.



## დისტანციის ხერხი

- მშვენიერი მზიანი დღე, წავიდეთ ხიდმე გვიაროთ.
- სიამოვნებით, მართოდ სამსახურში შევიდი, პირდფენს დაგჭიფებ...

ალექსანდრე

მროველი რაინდი  
(ჰისტაციების რაიონი)

ლაბაძე არის გვარადა  
კოლთავმჯდომარე ჩექენაზ  
კოლექტივს სამას თუმანში  
შესძინა კოხტა ცხენია.

ასე იმარჯვა დავითმა,  
„საქმინი“ დაატრიალა,  
ასი თუმანი მოვება  
ჯიბეზი ჩაიჩრიალა.

იქვე რესტორანს ეწვია  
ყანწით გადაქრა სეირული,  
მოახტა მარდალ ლურჯასი,  
სახე მიიღო გმირული.

შეიქრა სოფელ შროშაში  
ლვინის სმით გაბრწყინებული,  
მეზობლის გოგოს გადუდგა  
ხმალიერი აძოლებული.

უთხა, — მიყვარხარ გოგონავ  
მე უშენობით ვკლებიო,  
ძილას მოვიხმარ, თუ დათას  
შენით არ დამწებდებიო.

იწივლა გოგომ, გაუგეს,  
მიბეგვეს მაგრად დავითა,  
შინ წასალებად ლურჯაზე  
აჭკიდეს გუდასავითა.

## სოცდის გერთმისნები

ვიქტორ ზარალაძე ღოსტა-ტელეგრაფის ადგილობრივი განყოფილების გამგე განსაკუთრებით გატარებულია კითხვით, მაგრამ კითხულობს არა წიგნება და უურნალ-გაზეოვებს, არამედ კორესპოდენციებს.

კარგია კორესპოდენციების კითხვაც, მაგრამ თუ ეს კორესპოდენცია უმუალიდ აღრესატს ეკუთვნის.

— აბა, იხლა ქარი დავხუროთ და შეუუდვეთ ახალი ამბების კითხვას! — განუცხადა ვიქტორმა თავის თანაშემწეს და სავარძელში ჩაჯდა.

— დავხუროთ, დაგხუროთ, უკვე ოთხი საათია. — დაუმოწმა მოადგილემ.

— ქარები დაიხურა და კითხვას შეუდგნენ.

— ლია წერილები გვინდა?

— ლია წერილები არა, მაგაში საინტერესო ირაფერი იქნება. დაზურული მოიტა, დახურული. აი, ეს თეთრი კონვერტი გახსნი. კონვერტი გახსნეს.

„ ძირითასო დედ-მამავ. — მე უკვე მოგეწყვე უნივერსიტეტი...“

— ომ! მოწყობილი ყმა კილი! — წამოიძახა ვიქტორმა.

„ გცხოვრობ სტუდენტთა ქადაქში, მშვენიერი პირობებია. ხდი-ბენდია დამინიჭნებ...“

— ეისია ეგ წერილი? კოლია კალმიძის! — არ არის საინტერესო მორჩე გახსნი.

გახსნეს მეორე კონვერტი.

„ ჩემო ძირითასო ეგბრაქსი როგორ ხარ?“

ძირითასო ეგბაქსიო! — განუცვეტინა კითხვა ვიქტორმა. — კი, შაგრამ, ეგნი შორდებიან ერთმანეთსონ მაშ ჭორი ყოფილი! განაგრძე!

„ ზე გადვა საშ დღეს დაგრძები მოსკოვში, სანამ კუნძული დამთავრდებოდეს. პატეონი მომაქვს, აა თქვენ იცით, რა გარეა იქნებით.“

— აღარაფერი მესმის ამ ხალხის. — ამბობს ფოსტის გამზე ვიქტორი.

— აბა, ერთი ესეც გავტსნა!

გახსნეს მესამე კონვერტი.

„ და ქსენია! მე და ეგლამბი უკვე გავტარდით მშაჩი...“

— აიტ! — წამოყენია ვიქტორმა. — ცუცა გათხოვილი! უყურებიქო შენ, არ შეიჩრინეს ქორწილი!.. წაიკითხე, წაიკითხე!

„ ეგლამბი ახლა უმფროხი ლენიტელანტია და დიდა კმაყოფილია სამსახურით. სრული იმედი მაქვს, რომ გაზაფხულზე გნახავთ...“

— ჰოო, აქ თუ ჩამობრძანდებიან, მაშინ აღარ შევარჩენ ქორწილს, — დამშეიღებით ამბობს ვიქტორი და შემდეგ კონვერტს ხსნის.

„ ლუკა! ყველაფერს მოყელოდი, მაგრამ თუ შენ ახეთ სულმდაბლობას გამოიჩინდი და ცოლთან დამაბეზღებდი, აღარ მეგონა! რა ნახე ჩემს ხაქციელში იხეთი ხაერთო სალაშოზე ნაცნობ ქალთან ფოქსტროთი ვიციკევი, განა ეს ცოლისათვის ლალატია? შეგარცხვინა ღმერთმა რაზი დაგვირდა ოჯახის არეგა? ნუთუ გეგონა, რომ მაგისათვის ზადლობას გერული გაწერს შენგან დაბეზღებული, მაგრამ ცამდე გართალი გლეხი“. — თხო ხო ხო! რა უქნია მაგ შევენებულ ლუკა! შენ უყურებ, რა ორომ-ტრიალი დაუყენებია! ნახე, ვლასი რომ ჩამოვა რა უყო მაგისა გახსნი, გახსნი კიდევ!

„ დიდათ ბატივცემულო ამხანავ დიმიტრი. თქვენი დავალება შევასრულე: რამდენიმე დღის შემდეგ თქვენი ქოლმეურნეობის კლუბი მიიღებს ხაჟკეთებო რადიომილებს. თქვენი ალექსანდრე!“

— ყოჩალ ბიქო სანდროია! აწი გიყვარდეს მუსიკის მოსმენა. გახარებ ჩენებს თავმჯდომარეს, მაგრამ მიხვდება წერილი წაუკითხავთ... გახსნი სხვი.

№ 2 სასადილოზე,  
შევენი ესე „ბალადა“.  
სერაპიონი გამგეთ ჰყავს,  
ნიშნიანიძე გვარადა:

რა დღესაც ლვინის არ დალეჭს,  
იმ დღეს თავსა გრძნობს აფადა.  
ცოტას მუშაობს, ბევრს იღებს  
ცოლშევილის გასახარადა...

ამ სასადილოს მსგავსი რამ,  
ოდნავად შესადარები:  
— რომელშიც წვიმა ჩამოდის,  
სიძველით მოსთვევას კარები;

სადაც კერძებში „სულიერს“  
მღერიან ტარაგანები—  
არსად მინახავს, ნიანგო,  
თუმცა მაქეს შენი თვალები.

ბუფეტის გამგე ხალტურობს  
ლუკას უხმობენ ვაუქაცა,  
ინდაზის გეტუყის: — ის შრომობს,  
უინც ძალას ატანს ბაშვასა.

— არ ვიტმაკო, ძმაბიჭებს  
როგორ ვეჩვენო კაცადა:  
პურის არაუში ოცს ვიღებ,  
თორმეტ მანეთის ნაცვლადა,

ლოლობერიძე გვარად ვარ,  
კაცი არა მყავს დარია,  
ფუთობით გამიყიდია  
ლვინის მაგივრად ძმარია.

პ. ბ-დ

„ძმა ლეია როგორ ხართ? აქეთ მშვიდობაა. ჩვენმა ქარხანაშ  
გადაჭარებით შეასრულა გეგმა და გარდამავალი დროშა მიიღო.  
შინაგანიან, რომ დიდი მოსავალი მიუღია თქვენს კოლმეურნეო-  
ბასაც...“

იშვერები, უველას ეშველა და ჩვენი ფოსტის გამგეს ვიქტორ  
ზარალაძეს არავერი ეშველაო. მართლა ზარალაძეა ეგ საწყალი!  
რა დმტრი გაუწყრა, უოგელდღე სიმთხრალე გამიგია! თუ მისი  
თანა შემწეც ასე თვრება, დასით ხაკითხი და გამოასწორეთ, ან ბო-  
ლოს და ბოლოს, მოხსენით...“

— რაო? რაო? — წამოიძახა გაფიქრებულმა ვიქტორმა. — მაშ იმ  
ყმაწყილს ლეოს მიუწერია ასეთი ამბებიზე კარგი, ვნახოთ! გახსენი  
კიდევ!

„ჩემი ძვირფასო მართ აგრძნობის დიპლომი მივიღე. მალე  
ჩამოგადა. როგორ არის შენი მასწავლებლობის ხაქეე? გაზეთში  
წავიკითხე შენი ჭება. ხამაგიეროდ ახალი პალტო ჩემზეა. უკავი  
შეიძრილია...“

— დაწებე, დაწებე! — იყოს მანდ, უჯრაში და შემდეგ დავარი-  
გოთ.

მეორე დღეს მეგობრები ქოლია ქალმაძის ოჯახს ესტუმრენ.

— აღმასახანს სალამი! როგორ ბრძანდებით? კაცო, წუხელის

დამესიზმრა, ვითომ შენი ბიჭი კოლია უნივერსიტეტში მიიღეს...

— შენს პირს ზაქარი, ჩემი ვიქტორ! დაბრანდი შენი ჭირიმე!

სტუმრები დასხლენ და კარგად შეექცნენ.

— აი, ეს ულვაში მომპარსე, თუ სიზმარი არ აგიხდეს, — არწმუ-

ნებდნენ ფოსტელები გახარებულ დედ-მამას.


მართლაც, მათ იმავე სალამოს მასპინძლებს გაუგზავნეს კოლის

წერილი.

— ევგრაქსის სიკოცხლე! შეიძლება გესტუმროთ?

— მობრძანდით, მობრძანდით!

სამიღებ ბოთლის შემდეგ ვიქტორის თანა შემწეობა წამოიწყო:



## კავშირგაბმელობის სასაღილოში

- რამ შეაუყარა ამ კაცს კატლეტი, რომ ყოველდღე სჭამს?
- რაქნას, ექიმს ხორციანი საჭმლის ჭამა აუკრძალია...

— წუხელის სიზმარი ვნახე, ვითომ თქვენი ვრიგოლი უკვე წა-  
მოსულიყოს მოსკოვიდან და თქვენთვის პატეფონი წამოელოს...  
შეორე დილით უცარაქსის მოუფიდა სწორედ ანალოგიური შინა-  
არსის წერილი.

გავიდა კიდევ ერთი დღე. მეგობრები ქსენის ეწვიონენ.  
— ქსენია თქვენი დაი სად ბრძანდება? ხომ არ გათხოვილა?  
— ქალაქშია... გათხოვების რა მოგახსენოთ...  
— უცარაქრია: წუხელ მესიზმრა, თითქოს მას ჯვარი დაეწეროს  
ევლაბიზე... ვაი სულო, უვალაპი ახლა უფროსი ლეიტენანტია...  
— ქსენისაც დილით მოუტანა წერილი დამტარებელა.  
— მეგობრებს გულთმისნების სახელი გაუვარდათ სოფელში.  
— დიმიტრის სალამი კაცო, ამ სიზმრებმა გადამიტანა!  
— როგორ? — გაუკვირდა კოლმეურნე ბის თავმჯდომარეს,  
— როგორ და ერთი კვირა მესიზმრება, თითქოს ჩვენს კლუბს  
„ეჩერესის“ რადიო-მიმღები გამოუგზავნეს...  
სათანადო წერილი სალაშოსვე მიუვდა დიმიტრის.

\* \* \*

— ლუკას ულვაში. — ქიოთხა ვიქტორმა თანა შემწეობა.  
— არა კაცო, ხომ არ გაგიუდი...  
— აბა ლევონ ვნახოთ და ერთი მაგრად ვცემოთ...  
— ას! მე ვერ წამოვალ, ხომ იცი, რა ლონიერია...  
— ვიქტორმა მაინც ვერ მოითმინა და როცა ერთხელ შეზარხო-  
შებული შეხვდა კლუბში ლეოს, ასე მიმართა:  
— ლეო. გარედ გამოდი წუხელ დამტანი გადასახლი, ვითომ შენ ძმასთა  
დაგებეზლებინე, თითქოს ჩვენ კოველდღე ვსვამდეთ.

— ეგ სიზმარი კი არა, ცხადია ამბევია. ისიც რომ მცოდნოდა,  
რომ თქენ აქ ხალხის წერილებს ხსნით და მერე გულთმისნობთ,  
მაგასაც მიისწერდი და გაზეთმიც დაეწერდი, — უბასუხა ლეომ,  
რომელმაც უკვე იცოდა გულთმისნობის ნამდევილი სათავისა და  
აგრძელებულ გაეგო გულთმისანთა მოხსნის ამბავიც.

# გამოტყენა



ვათავსებთ ნაწყვეტს პოლ. კაკაბაძის კომედიიდან: „ქოლმეურის ქორწინება“, სადაც ძოცემულია მანუჩარის და ხახულის შე- ბევრა მერო მოქმედებაში. მანუჩარი ყოფილი და „გაფაფეკილი“. ჰყავს მასავით უსაქმრი შეილი ჯიბილი. ხახული მანუჩარის ყოფილი ყმა. ხახულის ქალიშველი გვრისაინე სტანდელია, ჩას საუკეთესო მკრეფავი და ორდენით დააჯილდება მანუჩარის გადაწყვიტა თავს შეილს ჯიბილს ცოლად შერთოს ორდენსანი გვირისტინე.

ხახული—აქ ხარ, მანუჩარ ჩემო?  
მანუჩარი—კაცო, ეს რა ქალიშვილის ღირ-  
სი გამხდარია.

ხახული—ვითომ, მანუჩარ მართალია?  
მანუჩარი—სწორედ სადედოფლია.

ხახული—ჴ და, სეინდრს გაფიცები,  
მანუჩარ—გატოხო; მაგ რომ დაიბადა მიხდო-  
და შენ რომ მოგენათლა, მარა გერ შეგად-  
რე—გოგოა და რა ღირსია-თქვა.

მანუჩარი—დიდი ანდამატიანია.

ხახული—კი, იღბლიან პერანგში დაიბადა.  
მანუჩარი—ეტყობა ჭკვიანიც არის.

ხახული—მთლად საკუთარი ჭკუა, იქვს.  
შენი არ ესმის, გამხეთქა გულზე... მარა ბოლოს  
მისმა იჯობა.

მანუჩარი—ახლა, ერთ რამეს გეტყვი ჩე-  
მო...

ხახული—(აწყვეტინებს) ბრძანება არ და-  
ფიცებულ და იმდენი ხალხი რომ აქმდა, მე  
მაინც შენსკენ მქონდა თვალი, აბა, მანუჩარი  
რას ფიქრობს-თქა.

მანუჩარი—მოგაძხენებ რასაც გფიქრობ...  
შენ ჩემი აფეარგი კარგად იცი.

ხახული—რასაკვირველია.

მანუჩარი—ჩემს შორის შუაქაცი—მეტია.

შე ერთი საქმე გადავწევიტე.

ხახული—დიახ, ბატონო.

მანუჩარი—გვირისტინე რძლად უნდა წავი-  
ყანო.

ხახული—რა ბრძანე, მანუჩარ?

მანუჩარი—ჩემს ჯიბილოს უნდა შევრთო.

ხახული—როგორი?

მანუჩარი—ცოლად.

ხახული—ვინ? ჩემი შეილი გინდა შენს ვაუს  
შერთო ცოლად?

მანუჩარი—ჴ.

ხახული—მე კინალიმ ასე გავიგე, რომ ჩე-  
მი ქალიშვილი გინდა შენს ვაუს შერთო ცო-  
ლად.

მანუჩარი—დიახ.

ხახული—ჴ!

მანუჩარი—ასეო.

ხახული—ჴ, მანუჩარ ბატონო.

მანუჩარი—კი. რას იტყვი?

ხახული—მანუჩარ ბატონო!

მანუჩარი—ჴ...

ხახული—საწყალი დედამისი რომ გარდა-  
მეცვალა, ეს გოგო ერთი ციდა დამრჩა... სულ  
ტიროდა ის ცხონებული—შეილი უპატრონოდ  
მრჩებამ.

მანუჩარი—კი, ასე იყო.

ხახული—ახლა, იმის ძელებმა ეს რომ  
გაიგოს,

მანუჩარი—ეჲ, ახლა ჩემო ხახულ, ისეთი  
ამბებია იმის ძელებს კი არა, ფეხზე დავდი-  
ვართ, მარა ზოგი რამე ჩვენს ძელებსაც ვერ  
გაუგია.

ხახული—ესიც მართალია.

მანუჩარი—აწი, საქმეს შეუდგეთ.

ხახული—როგორი?

მანუჩარი—ქორწილი დავიშნოთ.

ხახული—მერე?

მანუჩარი—ჩემი სიტყვა რაც არი არის, კი  
არ გადაუხვევ.

ხახული—მერე.

მანუჩარი—დროზე უნდა გაკეთდეს.

ხახული—მერე, გვირისტინე ჯიბილოს უნ-  
და გაჟყვეს?

მანუჩარი—რასიკვირველია.

ხახული—ჯიბილო რას იყეობს?

მანუჩარი—არათერს, უსაქმოდ დატანტა-  
ლებს, მარა მაგისთანა ცოლი კი გაუძლევება.

ხახული—ვითომ, ეს საქმე მოხერხდება?

მანუჩარი—რატომ არა?

ხახული—გვირისტინე ცოლად გაჟყვება?

მანუჩარი—მაშ, არ გაჟყვება? სულელი ხომ  
არ არის!

ნახ. მიხ. ლებეჭვის.



## აზიზი ქარლები

უილბლო ქურდები ლაშით მაღაზიაში შევიდნენ, სადაც „მკერავის“ ფაზ-  
რიდის საქონელი იყიდებოდა. კარგახანს ეძებდნენ მოხაპარ კოსტუმებს.

(ი. გვ. 9 გვ.)

## კლაპიტონის გამოგონება

— კლაპიტონ გულზე ხელი დაიდევი და  
მართალი მითხარი: რამდენ საათს მუშაობ სა-  
შახურში.

— რამდენს? ჴ, რამდენს? — მართალი  
რომ ესთება სულ საათნახევარს.

— საათნახევარს?

— ჴ, რაღან ღილით რომ მივდივარ 20  
წუთი პალტოს გახდასა და ხელების დასრე-  
სას უნდება, 20 წუთი მაგიდის მილაგებას.

20 წუთიც განჯინის გამოლებას და ქიბლადე-  
ბის მაგიდზე დალაგებას, ნახევარი საათი  
პაპიროსის გამოლებას, ნახევარი საათი ჭამის  
მოთავებას, ერთი საათი ანგელოტების მოყო-  
ლას, შემდეგ ნახევარი საათი ქალალდების  
განჯინაში კვლავ შელაგებას და პალტოს ჩა-  
ტმას. ერთი საათი „საქმებზე“ წასელას და  
შობრუნებას, ხოლო საათნახევარი ქალალდებზე  
ხელისმოწერას და სხვა საქმეების შესრულებას.

— ძმოგად მართლაც საათნახევრიანი სამ-  
სახური გამოდის კლაპიტონ.

— როდის იყო მე ტყუილებს, რომ ვა-  
მობდო.

— ბარაქალა კლაპიტონ! ჭკვიანი კაცი ხარ,  
თორემ ასეთს „სიხელვან“ გამოგონებამდე  
როგორ მიხვიდოდი!

— ჴ და, ია ახლა ხომ გამოვიგონე! — არ-  
ხეინად მიუგო კლაპიტონმა და ფართოდ დაამ-  
თქარა.

— მოიცა კლაპიტონ, შენც გაგიგებენ და  
მაშინ ნახე!

— როგორ, ვითომ შენ აგრე ფიქრობ?

— ეფიქრობ კი არა, ასედაც ხდება და.

— ტყუ! ნუთუ ეს გამოგონებაც უქმად  
ჩამიგლის—დაიძახა კლაპიტონმა და თვალები  
გაფფართოვდა.

ცინობის

ხახული—სულელს შეც ვეძახდი, მარა ხომ დაინახე.

მანუჩარი—მერე, შენ ხომ მამა ხარ, — მე ჩემს ვაჟს ბზრიალასავით, ვატრიალებ.

ხახული—არა, ჩემი ქალიშვილი მძიმე გადასტრიალებელია.

მანუჩარი—ეს რას ლაპარაკობს! შენ ხომ გულით გწადია.

ხახული—მე?

მანუჩარი—დიახ შენ.

ხახული—რა ვქნა, გაუეშილს გატეხილი სჯობსო...

მანუჩარი—ჰო და, გატეხილად მიოხარი.

ხახული—მიზეზია.

მანუჩარი—რა მიზეზია?

ხახული—ეს ვეირისტინეა და ის კი ჯიბილოა.

მანუჩარი—ეს ასეა, აბა ორივე ვეირისტინე ხომ არ იქნება.

ხახული—ჰო და მეც იმას ვამბობ, რომ ორივე ერთი არაა.

მანუჩარი—როგორ?

ხახული—ქალმა ცას ხელი მიუწია, ხომ ნახე.

მანუჩარი—მაშ, შენი დასაწუნებელი ვყოფილვარ!

ხახული—როგორ გეკადრება, მანუჩარ ბატონი, მე ეს არც დამესიზმრებოდა... მარა როდესაც ქვეყნა შეიცვალა, მაშინ ჩვენც შევიცვალთ.

მანუჩარი—ეს რა მეადრა ამ უსინდისომ!

ხახული—კი... მერგება შენგან ეს სიტყვა... მე თითონ გული ისე მეწვის... აი, ჩემს წინ, დღეს, კუბოში რომ იწვე ასე არ დავიდულ რებოდი, მარა...

მანუჩარი—ცოცხლად არ დამმარხა ამ საძაგელმა?

ხახული—ეს მათრახიც მეუთვნის.. სხვებს უძრახავდი ცოდვით გაუტიფრებას, მარა საქმემ როცა მოიტანა ვხედავ მე მოლად წაწყმედილ ვყოფილვარ.

მანუჩარი—კიდევ კარგია, თუ გრძნობ!

ხახული—ისე მწყინს, საკუთარ ხორცე ვიკენ.

მანუჩარი—შენ პირდაპირ მცინი.

ხახული—როგორ გეკადრება!

მანუჩარი—თავიდანაც თეთრ კბილს მიჩვენებდი, მაგრამ ახლა გამოჩნდა შავი გული.

ხახული—მე ვარ ასეთი?

მანუჩარი—ფლიდი ხარ, ენა გალიქნული!

ხახული—რამდენი წელი გავატარე შენსას, მანუჩარ?

მანუჩარი—ოცდახუთ წელიწადს მატეული. ხახული—ასე უნდა დამიკარგო ამგადი მანუჩარი—ორგულის ამაგი ვის უნახება. ხახული—კი მღანძლავ, მარა, ვეფიცები, დღესაც შენი ეროვნული ვაუროვანები

მანუჩარი—ნამდვილობრივ უბრძოვის გამო.

მანუჩარი—აბა, წალი ახლა და უსიტყვოდ მომგვარე შენი ქალიშვილი.

ხახული—არ მოხერხდება.

მანუჩარი—რატომ?

ხახული—ცხოვრებას თავისი ანგარიში აქვს, ფერი თითონ ფერს ედებს, ჩემი ქალი ორდენისანია. შენი კი სტანოველიც არ არის.

მანუჩარი—აი, შენ ყოველთვის ასე მიბვევდი თვალს.

ხახული—შენთვის თავი არ დამიდგია?

მანუჩარი—ვის აბრმავებს, შენ თუ ჩემთვის თავს დებდი, მე ხომ ახლაც მე ვარ?

ხახული—იჭ, შენ მართალი ხარ, რომ ვაკვირდები, თურმე მანუჩარს კი არა, დროს ვემსახურებოდი.

კოლიქარავ კაკაბადვა

## „ნიანგის“ ლექსიკონი

„ქაფური“—ძველი პრეპარატი. იყენებენ ოფიციანტები მომხმარებელთა გასაფცელებლად. — საკუთარი ჯიბის გასასქელებლად.

ზეტეოროლოგიური სადგური—გუშინდელი ამინდის ზუსტად მაჩვენებელი.

ბოუროკრატი—სამსახურის კაცია, რომელიც მაღლა ახედვას ერიდება და ერთავად ზევიდან ქვევით იყურება.

ნიშადური—პრეპარატია, რომელსაც უმოქმედოთ მოსახსრე მოძრაობაში მოჰყავს.

გაზეთების დამტარებელი—კაცი, რომელიც მორცხვობის გამო ერთ ოჯახში ყოველდღი ვერ მიდის...

## ლექსიკის ლექსიკონი

შუახევის (ხულოს რაიონი) სასოფლო კომპერატივის გამყიდველს დურსუნ დაფითაძეს, სამახინაციო კომბინატის დავალებით, შეუდგენია ახალი ლექსიკონი, რომლის მიხედვით ზოგიერთ სიტყვებისა და „ნიშნებს“ ეძლევა სრულიად ახალი შინაარსი. მაგალითად:

„შენ რო იცი“—ნიშნავს ქალოშებს.

„მე და შენ რო ვიცით“—მანუფაქტურა 30 მეტრომდე.

„მიდი“.—იმოქმედე ისე, როგორც გესია-შონება.


„დამშეანე“—დამილევინე ერთი ჭიქა არაყი.

„ფაში“ (შემოკლებით)—ფულის აქტევის შინი იქმნივ.

„იესო“ (შემოკლებით)—ისადილე ერთხელ სეი ოთხჯერ.

„ერთი თვალის დახუჭვა“—პატეფონის ფირფიტა.

ლექსიკონი სუფთად არის გაფორმებული და ღირს 3 ლიტრა ღვინო. მთელი ტირაზი გათვალისწინებულია ძმა-ბიჭებისათვეს.



## ეზიზი ქარდაბი

— ეკრების ხარისხი სწავლის უელაფერს—სოქვეს ზათ და უკან გაზიარებისას.

# ტ ე ლ ე ფ რ ნ თ ა ნ



- რა გნებავთ? — მეკითხება ქალის ხმა.
- შემაერთეთ სლავურ ბაზარს.
- მზადაა.

სამი წუთის შემდეგ მესმის ხარის რეკა... ტელეფონის მილი ყურან მიმავს და მესმის გაურკვეველი ხასიათის ბერია: თითქოს ქარი ქრის... თითქო კაგალი ჩხრიალებს... ვილაცა რაღაცას ლულლულებს...

— არის თავისუფალი კაბინეტები? — ვეკითხები მე.

— არავინ არაა შინ — მიპასუხებს ბავშვის მთრთოლვარე ხმა. — დედა და მამა სერაფიმა პეტროვნასთან გაემგზავრენ, ხოლო ლუიზა ფრანცუვნას გრიპი სჭირდება.

— თქვენ საიდან? სლავურ ბაზრიდან ხართ?

— მე სერიოუ ვარ.. ჩემი მამა ექიმია... ის ლებულობს დილამით...

— სულიკო, მე ექიმი კი არა, სლავური ბაზარი მინდა.

— რომელი ბაზარი? (სიცილი) ეხლა მე ვიცი თქვენ ვინცა ხართ... თქვენ პავლე ანდრეიჩი ხართ... ჩენ კატოსაგან წერილი მივიღეთ. (სიცილი) იგი ოფიცერს ირთავს ცოლად... თქვენ კი როდის-ლა მი- ყიდით მე ფერად ფანჯრებს.

მე ვშორდები ტელეფონს და ათი წუთის შემდეგ კიდევ ვრეკავ.

— სლავურ ბაზართან შემაერთეთ. — ვთხოვ მე.

— როგორც იქნა. — მიპასუხებს ხრინჭიანი ბასი — ფუქსიც თქვენ- თანაა?

— რომელი ფუქსი, რა ფუქსი. მე გთხოვთ სლავურ ბაზართან შემაერთოთ.

— თქვენ სლავურ ბაზარში ხართ? კარგი, მოვალ. დღესვე დავა- სრულოთ ჩვენი საქმე... მე ახლავე მანდა ვარ... გეთაყვა, ჩემთვის ერ- თი თართის ბულლამა შეუკვეთე... მე ჯერ კიდევ არ მისადიღნია.

„ფუქი, ეშმაკმა იცის რა ხდება. — ვფიქრობ მე ტელეფონისაგან განშორების შემდეგ — შეიძლება ტელეფონის მახმარა არ შემიძლია და ვურევ. მოიცა, როგორ უნდა... ჯერ ეს რაღაც უნდა დაატრიალო, შემდეგ ეს რაღაც უნდა ჩამოილო და უურთან მიიტანო... კარგი, მერე. შემდეგ ეგ რაღაცა იმ რაღაცას უნდა დაადო და ეს რაღაცა სამჯერ უნდა დაატრიალო... მგონი ასეა“

მე კიდევ ვრეკავ. პასუხი არაა. ვრეკავ გაშმაგებით და იმ რაღაც კაუჭის მოტეხის რისკია ვწევ. ყურძილში ხმაურია, რომელიც ქა- ლალდზე თაგვების ფხაქუნს წააგავს...

— ვისთან ელაპარაკობ? — ვუყირი მე. — მიპასუხეთ რაღა! ხმამა- ლია!

— ტიმოფეი ვაქსინის შეილების ფართლეული...

— უმორჩილესად გმადლობთ... არ მესაჭიროება მე თქვენი ფარ- თლეულობა.

— თქვენ სიჩოვი ხართ? მიტეკალი თქვენ უკვე გამოგიგზენეთ.

მე ვკიდებ ყურძილს და კვლავ ვიწყებ თითგამოცდას: ხომ არ მეშლება მე? ვკითხულობ „წესებს“, ვწევ თამბაქოს და კვლავ ვრე- კავ. პასუხი არაა...

— ალბათ სლავურ ბაზარში ტელეფონი გაფუჭდა — ვფიქრობ მე. ვცდილობ მოელაპარაკო, „ერმიტაჟს“.

ერთხელ კიდევ ვკითხულობ წესებს, თუ როგორ ვილაპარაკო ცენტრალურ სადგურთან და ვრეკავ...

— შემაერთეთ „ერმიტაჟთან“.

გადის ხუთი წუთი, ათი... მოთმინება თანდათან წვრილდება, შაგ- რამ, აი, ვაშა! — ზარის ხმა მოისმის.

— ვისთან ვლაპარაკობ? — ვეკითხები მე.

— ცენტრალური სადგურია...

— ფუ, შემიერთეთ „ერმიტაჟს“, ღვთის გულისათვის.

— ფერრეინთან?

— ერმიტაჟთან!

— მზადაა.

„ოკ, მგონია დასრულდა ჩემი წამება“... ვფიქრობ, რეა შე- ებდომას გადამსკდა.

ზარი. ყურძილს ხელს ვავლებ და ჩავძახი:

— ცალკე კაბინეტები გაქვთ?

— დედა და მამა სერაფიმი პეტროვნასთან წავიდნენ, ლუიზა ფრანცუვნას გრიპი აქცის. შინ არავინ არაა...

— სერიოუ, ეს თქვენა ხართ? (სიცილი)

— მე ვარ... თქვენ ვინა ხართ, პავლე ანდრეიჩი? თქვენ გუშინ ჩვენსა რატომ არ იყავთ. (სიცილი) მამა ჩინურ ჩრდილებს ვეიჩე- ნებდა... დედას შლიპა დაიხურა და ავდოთია ნიკოლაევნა წარმოა- დგინა...

სერიოუს ხმა უეცრივ წყდება და სიჩუმე დგება. მე ვეიდებ ყურ- მილს და ვრევავ სამი წუთი, ვიღრე თითები ამტკივდება.

— შემიერთეთ ერმიტაჟს. — ვყირი მე — რესტორანს, ტრუბნაიშე რომ არის. თქვენ გესმით, თუ არა.

— ჩინებულად მესმის, მაგრამ აქ „ერმიტაჟი“ კი არა სლავური ბაზარია.

— თქვენ სლავური ბაზარი ხართ?

— სწორედ ეგრეა... სლავური ბაზარი.

— უხ, ვერაფერი ვერ გამიგია. თქვენ გაქვთ თავისუფალი კაბი- ნეტები.

— ეხლავე გავიგებთ.

გადის ერთი წუთი, მეორე... ყურძილს ხმიერების მსუბუქმა თრთო- ლები დაურნინა... მე გულდასმით ვუსმენ და ვერაფერს ვერ ვებუ- ლობ.

— მიპასუხეთ რაღა: არის კაბინეტები?

— რომ, თქვენ რა გნებავთ? — მეკითხება ქალის ხმა.

— თქვენ სლავური ბაზრიდან ხართ.

ცენტრალური სადგურიდან...

თარგმანი 8. ბაზუაძის

## გამოცდილების სავაჭროებელი

ნაბ. დონისა.



— უცნაურია, ამანათით ბაზიდორის თესლს აგზავნი, წერილში კი სწერ მწიფე პაზიდორს გიგზავნიოთ...

— ხომ ხელავ ხასჭაფო გზავნილებაა, ხანაშ ჩენი ის ფოსტა პატრონს ჩააბარებდეს, ეს თესლი გადგივდება, პაზიდორს მოიხსებს და დამშიუდება, კიდევ.

# ჩ ღ ე თ ბ ა



თ წელია, რაც ჭიჭიკო და ნინო ერთად სცხოვრობდნენ და თვითეული შათგანი თავდადებით ზრუნავს ოჯახის განმტკიცებისათვის.

დღეს ისინი ერთად ცხოვრების ათი წლისათვეს იხდიან და თანაც ნინოს დაბადების დღეა.

ოჯახში სამშადისაა.

— დათვრები ძია სიმონ, დათვრები,— ეუბნება სიმონს ჭიჭიკო...

— თუ ამის მეტი იმედი არ გაქვს ჩემი მაშ რად მოთხარი იმა-ლამ თამაღა შენ უნდა იყოვო, — პასუხობს სიმონი და სახე ბოთლიც იცლება.

პატარა გოგი და ნუნუც თითქოს საქმეს აკეთებენ, დედას და-დევნენ უკან ბატქნებივით.

— აბა, მე ხორცხ მივალ, მალე დავბრუნდები, თქვენ კი აქაუ-რობს მიხედეთ, — ამბობს ჭიჭიკო და კალათებით ხელში სტოვებს ითაბას.

— თქვენი წერილია, — მოაძახა ჭიჭიკოს ფოსტალიონში.

— მე მეჩქირება, ცოლს დაუტოვე. — უპისუხა ჭიჭიკომ და გზა განაგრძო.

ფოსტალიონში ნინოს ჩაბარა ბარათი.

— რა გატირებს ქალო? — ჭიროხ ჭიჭიკომ ცოლს სახლში დაბ-რუნებისის.

— რა მატირებს? შე უსინდისო, შე უნამუსო, ათი წელია აგრე მატყვილებ არა? ათი წელია მიმაღავდი მიგრამ ბოლოს ხომ მაინც გავიგე.

— რა მოხდა ქილო? — დაიბნა ჭიჭიკო...

— ახლოს არ მომეკარო შე სახიზღარო, კმიარა, დღესვე უნდა გავშორდეთ ერთმანეთს, წამოიძახა ნინომ და ტირილი განაგრძო.

— ქალო, ხომ არ შეიშალე, აღარ იტყე რა მოხდა?

— არა, ეხლა კი არა ათი წელია, რაც ხდება, მე ჭურში ვზივარ და შენ კი უნამუსო, ნილაბი გაქვს თურმე ჩამოფარებული. არა, სხვა ცოლშვილი თუ გყავდა, რას მაღავდი ჰავი შე გათახსირებულო...

— რას ცოლშვილი, რა ცოლშვილი, ხომ არ გაგიუდი გამაგებიერ რაშია საქმე?

— აი, წიკიოთე მაგ დასაბრმავებულ თვალობით, — და ნინომ ჭი-ჭიკოს ბარათი თავში ესროლა.

ჭიჭიკომ ბარათი გაშალა:

— სინდისხესაგან გარეცხილო, უნამუსო და უდირხო „მამაჩემო“ ჭიჭიკო. როგორც იქნა სამისამორთო ბიუროს საშუალებით მოგავე-ნი, ხუთი წელია იმაოდ დაგეძებდი მე და დედაჩემი, ვერსად აღმო-გაჩინეთ, ეხლა ველარისად დაგვემალები, არა რას ფიქრობ, მე ათი წლის ბიქს, და დედაჩემს რჩენა არ გვინდა რომ მიგატოვე და სხვაგან დაცოლშვილი, აღბათ მათაც ის დღე მოელით. რა დღეშიაც ჩვენა ვართ შენგან, თუ გინამუსებია და გამოვევიგზავნი რაც გაქვს გადასახდელი ერთად ხომ კარგი, თუ არა და საქმე პროექტორს გა-დაცვემთ, ვწერს შენგან მიტოვებული და დავიწყებული „შენი“ ვანტანგი. ჩვენი მისამართი: თბილისი, უსახელო შესახვევი № 14.

— ვფიცავ შენს თავს, რომ მე არავითარი შეილო არა მყავს, — იფიცებდა ჭიჭიკო.

აპარა, ხმა, კრინტი არ გამაგონო, შე გათახსირებულო თოახიდან გეორგი...

— ფინოო მამა... აყვნენ ნინოს ბავშვებიც.

ჭიჭიკომ კარი გააღო, სასწრავოდ გაირბინა ის ქუჩა, საღაც თითონ ცხოვრობდა და თვალცრუებულიანია შეაღო მეგობრის კარი.

— გრიშა, მიშველე, ვილუპები... — და ჭიჭიკომ განუმარტა მეგო-ბრის საქმის მდგომარეობა.

— კი მარა, რით შემიძლია გემსახურო?

— გრიშა! შენ უნდა მიშველო, წამომყევი იმ წერილის დაწერის ბინაზე, თორემ ქეიფიც იშლება და ცოლიც მაგდებს სახლიდან. ის ბავში ე. ი. წერილის დამშერი იტყვის რომ მე არ ვარ მისი მამა.

— კი მაგრამ რომ სიტეას ესა მამაჩემიო, რას შერები მიშინა ან იგი რომ ნამდვილი შეილი გამოდგეს შენი მაშინ! არა შენი ჭი-რიმე ხლაფორთში ნუ გამხვევ... — ხუმბრობით ამბობდა გრიშა და მეგობრის მიყვებოდა.

ნახევარი საათის შემდეგ ჭიჭიკო, ნინო და გრიშა უსახელოს ქ. № 14 ეზოში იყვნენ.

— ნიკორაშვილი თუ ცხოვრობს აქ ვინმე? — ჰერტა გურიაშვილი / ჩერიტე რა ბიქს.

— დიალ, ცხოვრობს, — იყო პასუხი.

— შვილი ჰყავთ?

— ჰყავთ...

— ვახტანგი არა?

— დიალ...

— სად არის ეხლა ის ვახტანგი?

— თქვენს წინაშე გახლავთ...

ჭიჭიკოს ფერი ეცვალა..

— ვახტანგი, თქვენ მამა გყავთ? — განაგრძობდა გრიშა.

— სამწუხაროდ „მამაზ“ ითვლება, მაგრამ ერთად არ ცხოვრობთ...

— თქვენ მამას წერილი გაუგზავნეთ?

— დიალ, ამ სამი დღის წინათ.

— ალიმენტის შესახებ არა?

— დიალ.

— მამათ ქვენს იცნობთ?

— დაახლოებით, კარგად არ მახსოვს...

— ეს არის მამათ ქვენი? — და გრიშამ, ვახტანგს ჭიჭიკო წირუდ-გინა წინ.

— მოიცა, მოიცა, მგონი ეს უნდა იყოს... მამავ... — და ვახტანგი ჭიჭიკოს კისერზე შემოეხვია.

ნინო იქვე ჩირკეცა...

— შე მამაძალლო მე ვარ მამაშენი? რატომ სტუუ ჰავი — გაფით-რდა ჭიჭიკო...

გრიშას ენა დაებნა მოულოდნელობისაგან.

— იცით, მე მინდა მამა, მენატრება იგი, კარგად არ მახსოვს, მოიცათ, დედას დავუძიხო... — ლულლულებდა ვახტანგი და სახლში შევარდა.

— დედა, დედა, მამა მოვიდა, გამოდი... — უციროდა ვახტანგი და ჭიჭიკოს არ შორიდებოდა.

— ქალბატონო, ეს თქვენი ყოფილი ქმარი გახლავთ? — ჭიროხ გრიშამ ვახტანგის დედას...

— არა, როგორ გეებრებათ, ჩემი ქმარი ასეთი კარგი არ ყო-ილა, ვახტანგი შეილო, ნუ თუ სურათით მაინც არ გახსოვს მამა? — სთვა ვახტანგის დედამ და სიცილი წასკდა.

\* \*

და მანსპინძლები, რომელთა სახლში უკვე გახურებული ქმიდი იყო მოგვიანებით დაბრუნდნენ სახლში.

— სად ხართ, რაშია საქმე? — მოაძახეს სტუმრებმა მასპინძლებს.

— ყველაფერს გიამბობო ამ წუთში, — სოქვა ნინომ და პალტო გაიხადა.

ნინოს მეგობარი ქალი სონა ფეხზე ადგა, ვახტანგი აათვალიერ-ჩათვალიერი და ჰკითხა:

— უკარიაგად, თქვენ ჩემთან იყავით არა? ამ სამი დღის უკან...

— დიალ, სამისამართო ბიუროში, მახსოვს — მოუგო ვახტანგის დედა.

— და თუ ამ ოჯახს იცნობდით ჩეენთან ჩალას ეძებდით? — ჭირ-ხას სონიაშ.

— წერილი სად დავავლე? — შეაწყვეტინა ნინომ თავის მეგობარს...

— ი დედა, აქ არის, — სოქვა პატარა ნუნუმ და დედას ბარათი გაუშორდა.

— კოლუმბის ქ № 48, ჭიჭიკო გოორგის-ძე ნიკოლოზაშვილს, — ამოიკითხა ნინომ კორვენტზე და სირცეგილისაგან თავი ძირს დახირა.

— ჰო! ეგ მისამართი მე მივეცით ამათ. — სოქვა სონიამ და იგ-რძნო თავისი შეცდომა.

— შე ქალო, ათი წელია მიცნობ, ხუთი წელია ერთად ვმსახუ-რობთ სამისამართო ბიუროში და ჩემი გვარი აღარ იცი მე ნიკო-ლოზაშვილი კი არა ნიკორაშეილი ვარ, — სოქვა ნინომ და იქვე ჩამოჯდა.

— მედვარა, სიმღერა, სიცილი და დროსტარება დილამდე არ შეწყვე-ტილი.

ამასწინად სიუჯოუს რაიონში იაბთელთა 1000 ჯა  
რისკაცი ჩინელების მხარეზე გადავიდა.

ნახ. შინ. ოთაროვისა.

კუთხით და  
გიგანტით



— საუკეთესო ზარისხის გამოდგა ჩეენი ახალი ტანკები, ძველებზე ორჯერ სწრაფად გარბიან...  
— და მაინც ვერაფერს გახდით?  
— რა იზამ, ჩეენი ცოცხალი ძალა უფრო სწრაფი გამოდგა: ტანკებს უსწრებენ და ჩინელების მხარეზე გადადიან...



— რაიონიდან იმსტრუქტორი მოდის, აღმათ ჩვენი სიგნალის  
გამო

— უფრო ჩემი სიგნალის გამო: მე მას შევატყობინე, რომ ჩვენ-  
თან გახურებული ნაღირობაა კურდოლებზე.

— მე არ მიყვარს ყბედობა და ყოველგვარ საკითხზე პასუხის  
გაცემა...

— სად მუშაობთ ოქვენ?

— ცნობათა ბიუროში.

\*\*

— ბებია, ძალიან ადიდებენ შენი საოვალეები?

— საქმიანდ, შეიღო.

— მაშინ უმჯობესი იქნება ნამცხვრის მოცემის დროს მოიხსნა.  
ხოლმე.

## აცხოოთის იუმორი

### სამარარი ბოროვოვალება

რომელიმაც გერმანელმა ჰებბელს ლორი უწოდა. ამ გერმანელს  
დაწიმეს სამგებარი ბოროტმოქედება:

1. წესრიგის დარღვევა.
2. ხელისუფლების სათავეში მდგომი პიროვნების შეურაცყოფა.
3. სახურ მწიურ საიდუმლოების გამხელა.

(„ნევ სტატესტ. ანდ ნაციონ“, ლონდონი)

### კათილი ქაცი

რძით საესე ბოთლებით დატეიროთული ავტომანქანა დაეჯახა  
მეორე მანქანას. აუარებელი ბოთლი დაიმსხვრა:

— საწყილი ბიჭი! შენ უნდა უნაზღაურო პატრონს ეს ზარალი?  
ჰერთხმა მერძევეს ერთმა სიმპატიურმა კაცმა, რომელიც შევროვილ  
ხალხში იდგა.

— დიახ, ბატონო.—უპასუხა დარდით გულმოკლულმა მერძევემ.  
— ეს საშინელებაა, — უთხრა მამაკაცმა, — აი, გქონდეს ეს ხუთ-  
შაურიანი ახლავე შენთვის ქუდით ჩამოვითხოვ გროვებს. იქნებ შე-  
გიგროვოთ რაიმე.

ძას შემდეგ, რაც ფული შევროვდა, შოთერმა მერძევემ უთხრა  
გვერდით მდგომ კაცს, რომელიც ოვალყურს ადევნებდა ამ ამბებს:  
— სწორედ ეს კაცი ჩემი პატრონია მან კარგად იცის, რომ კა-  
პიკი არ გამაჩინა, რომ მისუვის ზარალი ამენაზღაურებინა.

(„დეილი კლარიონი“, კანადა).

### სპარისი ვირი

ბერლინში, თუ ვინმე ფაშისტური რეჟიმის მომხრე ყურს არ უგ-  
დებს, ასეთ ამბავს ჰყვებიან:

ერთი გერმანელი, დანიაში ყოფნის დროს იმდენს ლაპარაკობდა  
ჰიტლერიზმის ტრიუმფზე და მშვენიერ ცხოვრებაზე, რომელსაც  
ჰიტლერის გერმანია ეწევა, რომ დიდი გავლენა მოახდინა შემთხვე-  
ვით მის მსმენელ სამი ცხოველის გონიერზე: ძალლისა, ძროხისა და  
ვირისაზე. ცხოველებმა იმსჯელეს და გადასწყვიტეს: გამგზავრებუ-  
ლიყვნენ გერმანიაში და გაგონილი თვალით ენახათ.

გერმანიის საზღვრების თანადანობით მოახლოვებისას ცხოვე-  
ლებს გერმანიდან გამოქცეულები ხვდებოდათ, რომლებიც მათ „მე-  
სამე იმპერიის“ ცხოვრების ნამდვილ პირობებს აცნობდნენ.

ცხოველები შექმნილი გარემოების განსაჯელად შედგნენ.  
— მე არ მივდივარ, — სოქვა ძალლი, — იქ ისინი მიკენენ.  
— აღარც მე წავალ, — სოქვა ძროხამ, — წველით იქ სულს ამომა-  
ძრობენ.

— მე კი წავალ.—წამოიყროყნა ვირმა. — სანაძლეოს ვდებ, რომ  
წელიწადიც არ გავა და ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის თავ-  
მჯდომარედ დამნიშნავენ.

(„დეილი კლარიონ“ კანადა)

თარგ. თ. შივიანისა

(„აროკოლიდიდან“)



— მხოლოდ ნახევარი საათი ჩემო გუგულო, მხოლოდ ოცდაათი  
წუთი... რა არის ეს დრო იმ დროსთან შედარებით რომელიც...

— არაფერი გამოვა: პატანზე რომ ნახევარ საათს იგვიანებ სამსა-  
ხურში რაღას იზამ! შენისთანა კაცი ქმრად არ გამომადგება...

კინო-თეატრ „ოქტომბერში“  
საარავო საქმე ხდება.  
აქ ერთ სკამზე, როგორც წესი—  
სამი კაცი ერთად ჯდება.  
კაპედინერს ვერსად ნახავ,  
ხოხობივით იმალება,  
თუ შემთხვევით დაიჭირე—  
მოხსენებას შეუდგება:  
„რა ვქნათ, სკამზე სამი, არა  
ზოგჯერ თოხიკ შეიძლება,“

განა მარტო ჩვენთან არის?!

სხვა კინოშიც ასე ხდება.  
მაგისთვის თქვენ ნუ წუხდებით  
იქონიეთ მოთმინება,  
ერთ-ორ საათს აქ იდექით  
და სურათიც გათავდება“.  
გოხვთ ნიანგო, დაგვეხმაროთ:  
გააცალოთ გამგეს „ღმერთი“  
რომ ბილეთი მან გაჰყიდოს  
თითო სკამზე მხოლოდ ერთი.

ა. დლონი

ნაბ. დონისა.



## კ უ ჩ ა ბ

— მოქალაქევ, აბრაძანდით და მიღიციაში წამობრძანდით...  
— გა, ამოუ ჩალა, მიღიციაში წამობრძანება რომ შემზღვოს  
სახლში არ წავბრძანდებოდი?

(გ. ცხადადა)

აქ რადიო-გაფურცელები  
შეღეგა რედაქტორობა,  
მასალებსაც თითონ თხზეს ჭრ  
მიკროფონთან თვით დექტორობა.

ის ფაქტების შემოწმებას  
არასოდეს არ კისრულობს,  
აქ გაზეთში რომ გაწერეს  
ილანძლება და დიღულობს

ამას წინათ გადაცემა  
ენუქამ არ დაიზარა,  
იმოდენა სიცრუე სოჭეა  
მიკროფონი გაიბზარა.

გოხვთ ნიანგო, გვიპასუხოთ  
ენუქას რა მოუხდება  
მიკროფონი რომ „გაფუჭდა“  
ამისათვის ვის მოხვდება?

## კ უ რ, გ ვ ს რ

(ხალხურ კილოზ)

ესო, მესო,  
„კაცი ჩიოდესო.  
ლაშათიანი ცხოვრება  
მეცა მქონოდესო.  
ქეიფი და დროს ჩარება  
არ მაქლდებოდესო:  
ზაფხულობით კურორტებზე  
ყოფნა მინდოდესო.  
ხუთი-ექვსი საყვარელი  
მუდამ მყოლოდესო.  
ზარშან ვნახე კისლავოდაკი,  
ქობულეთი წელსო.

არ ვტოვებდი ოპერებსა,  
არცა კინოებსო,  
პირის გემოს შევეზიე  
კახურ ლეინოებსო.  
სადაც კი ცხრა გამოჩნდება,—  
მეათე ვარ მეცო.  
დამავიწყდა, ფეხებზე რომ  
ქალამინი მეცო.

და ასეთები ვანაცვალე  
შალ-ბაბრეშუმებსო.  
წერილებს არ უიყადრებდი.  
ვწერდი ლეპეშებსო.  
მილიცია წამომადგა  
ერთ უბედურ დღესო,  
სიტყვა რაც კი მათშევინეს,—  
ხელი ჩამკიდესო.

პროკურორთან მიმიყვანეს,  
საქმე დამკითხესო,  
განაჩენი წამიკითხეს,  
ციხეში ჩამსვესო.

გუშინ ლუდის გამყიდველი  
ამ დღეში ვარ დღესო.

3 2 მუხლი 18 აქტის  
სუსტი ბოლო.

და ისე არა არა შეუფრეოთ  
კატეტოს უკანი, რომელიც ვკუ-  
ნული მისი რეზენტი ა წყვეტილი,  
რომ მათ ას რწვა არ არის მას უნდა  
ნული ინდო.

შეუფრეოთ კატეტო ამ მუხლის  
2 - II ასეთი 135 აქტი რეზ. ზორავა:

აღნიშნული განცხადება ეკუთვნის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს. ამბო-  
ბინ, რომ განცხადებაში მოყვანილ „პრაქტიკულ ვარჯიშობას“ მხოლოდ ინსტი-  
ტუტის კანცვლარიის თანამშრომლები დასწრებიან.

ნიანგ!

ჩვენ მეტ გამო „მუხლის შესახებ“  
კერძოდ მუხლის ასეთი არ ის  
მიმდინარეობს, ეს იყ 1596 შემოს შე  
განვითარება, რომელ არ არის მათ  
რამდენიმე გამოს და მა გარეთ  
ია რეალუ აქტები გამოს გამომდებარ  
ხას უს უკანი.

მათ არა არა შეუფრეოთ.

მათ არა არა შეუფრეოთ  
სუსტი ბოლო: ასე კი ის მას შე

ამ 8. პინგარაზვილს

„ნანგის“ რედაქციამ მიიღო თქვენი წერილი, რომელსაც აქვთ ფათავსებით.  
რაც შეება თქვენს მასალებს, განვიხილავთ. ისე კი თქვენი წერილის ქართვლის,  
რომ ვკითხულოთ არ გვჯერა, რომ ეს სკოლის დირექტორმა დასწერა.



გობის (სოფ. ნებოძირი, ხარაგულის რაიონი) თქვენი კონკრე-  
ტურის გამგებელ ვლ. ლაცაბიძეზე იწერებით:

„ფართალი გამოუგზავნა  
მოლითის კომიტეტიდა,  
ხელშეუხებლად, უკლებლად  
მიიღო ჩემინმა „აჭმივა““

შე კაი კაცო, რითმის გულისათვის საქმის შინაარს რატომ ამა-  
ხინჯები! „აქტიების“ მაგიერ რომ პირდაპირ „ლაცაბიძის ნაცნობ-  
მეგობრებმათ“ დაგეწერა, არ აჯობებდა?

კატო-ჯანს (ტოლოში, ასპინძის რაიონი) იწერებით: „ჩემი საა-  
ვადმიულოს იატაკი ისეა მინგრეულ მონგრეული, რომ საავადმყო-  
ლოში შესული კაცი, ხელი ან ფეხი თუ არა მოიტეხა, ისე უკან  
ვერ გამობრუნდებათ. ამ საქმის გამო ქისრები მოვიწიეთ, მაგრამ  
იატაკში ჩაგარდა, თითონვე ხელი მოიტეხა და გაიქცაო“...თან სა-  
კულტურს გამოსთვევთ, რომ საავადმყოლოს იატაკის შეკეთებაზე არა-  
გვინდი ფიქრობს. ახირებული საკულტურია: თუ იატაკის შესაქეთე-  
ბლად საავადმყოლოში ვინმე შევიდა აუცილებლად ხელი ან ფეხი  
უნდა მოიტეხოს. გარედან იატაკის შეკეთება, ჩემინის აზრით, შეუძ-  
ლებელია, ისევ რაჯობანყოფილებას მიმართეთ, იქნებ იქ მაინც  
აღმოჩნდენ „ჯამბაზები“, რომლებიც თქვენი საავადმყოლოს იატა-  
კის შეკეთებას იკისრებენ.

მარტოთუბნებს: (შორაპანის მოზრდილთა სკოლა) მოგვაცს შე-  
მოკლებით ოქვენი „ლექსი“:

„ნიანგო უნდა გია მბო  
მე ჩემი სკოლის ამბავი.  
როცა მივდიდართ სკოლაში,  
კლასში სავსეა ნაგავი“.

მერე ნიანგი ხომ დასუფთავების კომისარი არ არის! ამ საქმეზე  
ორმეტრიანი ლექსი რომ არ დაგეწერა, არ ჯობდა ამავე ზომის  
ცოცხი გეყიდა და განათლების განყოფილებისათვის გეთხოვებინა  
თქვენი სკოლიდან „უსუფთაობის“ გასაგველად?  
მოგზაურს (ამბროლაური) გვწერთ:

„სახადილოდ შევიარე  
ინვალიდთა სახლშია,  
ფინთო სული ცხვირში მეცა,  
ამიგარდა თაგშია.  
მომივიდა ჭამის ხოში,  
მოვითხოვე ერთი ბორში...“

დიდება „ალლაბს“ თაგში ავარდნილმა ფინთმა სუნმა თუ ჭამის  
ხოშე მოვიყვანა, იშვიათი გემოვნება გქონიათ!



### ლავაკარები

ცოლი, კურორტ ჭალალტუბოვი. 33 წლისა. გა-  
რემული ნიშნები:

შეკრეპილი, ჩალისზე რმა, პომადით შე-  
ლებილი ტუჩიბი; ეჭვა პაპიროს; აცვია „პიუ-  
ა“, ეგარება შროვა. ეზარება აგრეთვე ბაზვები;  
დიდებისათვის (40 წლაგზე) „თაგდაღებულია“;  
ცეკვას ურასტაროს და ტანგოს; კოშლობას რუ-  
სულ ენაში; ცუდათ ლაპარაკობს ჩართულს; კარ-  
გად ერქვება მოღებში. დღე მოზენილია, აცვია  
„სტრელკიანი“ ჩულშები; ახლავს „შაიცი“ ჯიშის  
ძალი.

[მარტელს ვთხოვ დამიბრუნოს მხოლოდ კალლი.  
მისამართი: თაბილისი, ვერახევის უესახევი  
№ 3 1/2, იქითხეთ ჯლაბუ.



# კახეთის სახელმწიფო საფრთხო მარკები

ნახ. ზებ. ლიანდოვისა.

1921-1922  
გერმანიული დროებითი მარკა




გერმანულ ფაშისტების მარკა




გერმანის „სახელმწიფოს“ დროებითი მარკა



იტალიის მარკა - ჩექება. ეწოდება: „ქორსიკა, ცხვირი შორს იქა“



ბრიტანეთის მარკა



იიპონიის მარკა: „სამურაუს - ცხვირ-პირ მტერაუს“



ორანჯის მარკა: „სამურაუს - ცხვირ-პირ მტერაუს“